საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060150872387617

ბრძანება №-199

ქ. თბილისი **13 / აპრილი / 2017 წ.**

სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის ახალციხის სატყეო უბნის ტყის მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ

„ტყის აღრიცხვის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №179 დადგენილების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტისა და „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის № 572 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის ახალციხის სატყეო უბნის ტყის მართვის გეგმა (დანართი№1).
2. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს ტყის მართვის ორგანოსთვის მისი გაცნობისთანავე.
3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს მთავრობაში (მის: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7) ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2017 წლის 10 მარტის N06/5104 წერილი; ახალციხის სატყეო უბნის ტყის მართვის გეგმის პროექტის საჯარო განხილვის 2016 წლის 14 დეკემბრის ოქმი №2;

მინისტრი გიგლა აგულაშვილი